ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, **5.6.4.1 პუნქტი** და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5.6.4.1 ყოველი თვის დაანგარიშების/ბილინგის თარიღის მეორე დღეს, კლიენტს მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით ეცნობება ინფორმაცია მინიმალური და რეკომენდირებული გადასახადის შესახებ. ამასთან, ბანკი არ არის პასუხისმგებელი რაიმე ტექნიკური ხარვეზის გამო ან/და კლიენტის მიზეზით შეტყობინების მიუღებლობაზე და კლიენტი ვალდებულია, გადახდის თარიღისთვის მიმართოს ბანკს გადასახდელი თანხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ასევე, კლიენტი უფლებამოსილია, ინტერნეტბანკის მეშვეობით მიიღოს დეტალური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- რეკომენდირებული გადასახდელი თანხა;
- მინიმალური გადასახდელი თანხა;
- დარიცხული ჯარიმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაშია 2020 წლის 24 ივლისიდან, ხოლო იმ კლიენტებისთვის, რომელთაც ტოპ|ქარდი გადაეცათ 2020 წლის 24 ივლისამდე - წინამდებარე ცვლილება ძალაშია 2020 წლის 29 აგვისტოდან.